

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის  
სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი



საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო  
საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული  
კონკურსი

საკონკურსო დოკუმენტაცია

# 1. ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

- 1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.
- 1.2 კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.
- 1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
- 1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- 1.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.
- 1.6 საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, ავიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.
- 1.7 საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს. საფასურის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ ელექტრონულად, სისტემის მეშვეობით, ელექტრონული გარანტიის წარდგენის შემდეგ და ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.
- 1.8 ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ-ის გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას.
- 1.9 დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
- 1.10 პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ს გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.
- 1.11 საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.
- 1.12 კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.
- 1.13 ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- 1.14 ხელშეკრულების დასადებად მოწვევამდე, პრეტენდენტს უფლება აქვს, უარი თქვას საკონკურსო წინადადებაზე.
- 1.15 საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები.

## 2. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი - აცხადებს კონკურსს საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი:

საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამშენებლო სამუშაოების ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს - 30 000 000.00 ლარს (დღგ-ს ჩათვლით).

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება:

533 898.00 (ხუთასოცდაცამეტი ათას რვაასოთხმოდათვრამეტი) ლარი დღგ-ს გარეშე

CPV კოდი:

71320000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება

დაფინანსების წყარო:

საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:

ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშება:

- საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის გათვალისწინებით, გარდა დღგ-სა. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ-ის გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა.
- საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში.
- პრეტენდენტი ვალდებულია საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები, ძირითადი საპროექტო მომსახურების 3%-ის ოდენობით.
- პრეტენდენტს საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა არ მოეთხოვება.
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია ხელშეკრულების პროექტში, რომელიც თან ერთვის საკონკურსო დოკუმენტაციას. ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების შესაბამისად.

**შენიშვნა:**

- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ მოცემულია ხელშეკრულების პროექტში, რომელიც თან ერთვის საკონკურსო დოკუმენტაციას.*
- ინფორმაცია გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადისა და პირობების შესახებ მოცემულია ხელშეკრულების პროექტში, რომელიც თან ერთვის საკონკურსო დოკუმენტაციას.*

### 3. ტექნიკური დოკუმენტაცია

3.1 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტები:

#	წარმოსადგენი ტექნიკური ინფორმაცია/დოკუმენტების ჩამონათვალი	
1	პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები)	დანართი N1
2	ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის 01.01.2011-დან 01.01.2016-მდე პერიოდში არსებული ანალოგიური ტიპის საპროექტო გამოცდილების შესახებ	დანართი N2
3	ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ	დანართი N3
4	პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტის საანკეტო მონაცემები	დანართი N4
5	სპეციალისტთან გაფორმებული წინაურ შეთანხმება	დანართი N5
6	ინფორმაცია დამატებითი მომსახურების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში)	დანართი N6
7	ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (არსებობის შემთხვევაში)	დანართი N7

3.2 შესყიდვაში მონაწილე პირებმა (პრეტენდენტებმა) უნდა წარმოადგინონ შემდეგი საკვალიფიკაციო დოკუმენტები:

3.2.1 იურიდიული პირებისთვის:

- (1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- (2) ხელისმომწერისათვის გაცემული მინდობილობა, იმ შემთხვევაში, თუ ხელისმომწერი პირი არ არის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი;
- (3) არარეზიდენტი იურიდიული პირის შემთხვევაში, პრეტენდენტმა ან მისმა ფილიალმა დამატებით უნდა წარმოადგინოს თავისი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან გაცემული ცნობა (ცნობები) რომ არ ხორციელდება არარეზიდენტი იურიდიული პირის (სათაო) რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, რომელიც (რომლებიც) დამოწმებული უნდა იყოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული) და მას თან უნდა ერთვოდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

3.2.2 ფიზიკური პირებისთვის:

- (1) პირადობის მოწმობის (ან პასპორტის) ან/და გადასახადის გადამხდელის სარეგისტრაციო მოწმობის ასლები;

3.3 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებში რეგისტრირებულია ყადაღა, რაიმე სახის სამმართველო შეზღუდვა, საგადასახადო გირავნობა ან/და პრეტენდენტი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, იგი ვალდებულია წარმოადგინოს (ყადაღის, საგადასახადო გირავნობის, ან/და პრეტენდენტის მოვალეთა რეესტრში რეგისტრაციის) ამსახველი სრული დოკუმენტაცია.

3.4 წარმოდგენილი სრული დოკუმენტაციის ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის თაობაზე, თუ მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარემოებებმა შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას ხელშეკრულების პირობების სათანადო შესრულებას.

3.5 პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკონკურსო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (ტ), (ყ) და (ზ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

3.6 ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა განისაზღვრება არანაკლებ 120 კალენდარული დღით, კონკურსისთვის სტატუსის „წინადადებების მიღება დაწყებული“ მინიჭებიდან. იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, სისტემა უზრუნველყოფს ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას შესაბამისი კონკურსისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

## 4. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

4.1. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით ატვირთული უნდა იყოს:

4.1.1. პრეტენდენტის შეთავაზება (რეკვიზიტები) დანართი N1-ის მიხედვით;

4.1.2. ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, 01.01.2011-დან 01.01.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების გამოცდილების შესახებ დანართი N2-ის შესაბამისად.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა (ქვეკონტრაქტორთან ერთად) უნდა წარმოადგინოს **დანართი N2-ში** მითითებული თითოეული პოზიციის მიხედვით, ანალოგიური ტიპის (საავტომობილო გზების მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის ან/და მოდერნიზაციის ან/და რეაბილიტაციის ან/და პერიოდული შეკეთების ან/და სტიქიის სალიკვიდაციო ან პრევენციის სამუშაოების პროექტირება) ხელშეკრულებების და ამ მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა).

*შენიშვნა: ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე.*

4.1.3. ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ შემოთავაზებული სპეციალისტების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ დანართი N3-ის შესაბამისად.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად სასურველია ჰყავდეს ქვემოთ წარმოდგენილი ის ძირითადი სპეციალისტები, რომლებიც მოთხოვნილია ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით. ამასთან, მათ უნდა გააჩნდეთ ცხრილში მითითებული, შესაბამის სფეროში მუშაობის გამოცდილება.

N	სპეციალისტი	მინიმალური გამოცდილება	მინიმალური რაოდენობა (კაცი)
1	საავტომობილო გზების ინჟინერი	ანალოგიურ სფეროში - 10 წელი	1
2	საავტომობილო გზების ინჟინერი	ანალოგიურ სფეროში - 5 წელი	1
3	ხიდების/ნაგებობების ინჟინერი	ზოგადი პროფესიული - 10 წელი	1
4	მომრაობის უსაფრთხოების ინჟინერი	ზოგადი პროფესიული - 5 წელი	1
5	გეოლოგი	ზოგადი პროფესიული - 10 წელი	1
6	ხარჯთაღმრიცხველი	ზოგადი პროფესიული - 5 წელი	1
7	გეოდეზისტი	ზოგადი პროფესიული - 5 წელი	1
<b>სულ:</b>			<b>7</b>

- პრეტენდენტმა, მის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტზე უნდა წარმოადგინოს საანკეტო მონაცემები **დანართი N4-ის** შესაბამისად, რომელიც მოიცავს სპეციალისტების ბიოგრაფიულ მონაცემებს, ინფორმაციას მათი განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ, საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული ანალოგიური საპროექტო მომსახურების პროექტებში გამოცდილების ქონის შესახებ.
- პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტზე, ატვირთული უნდა იყოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები და შესაბამისი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი და სხვა დამატებითი ტიპის დოკუმენტაცია.
- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის ძირითად სპეციალისტებთან გაფორმებული **წინარე შეთანხმება** (თითოეულ სპეციალისტთან ცალ-ცალკე) **დანართი N5-ის** შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში, სპეციალისტი იღებს ვალდებულებას, რომ კომპეტენციის შესაბამისად, პირადად განახორციელებს ამ კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

4.1.4. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს პროექტირების მეთოდოლოგია ტექნიკური დავალების შესაბამისად.



4.1.5. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია დამატებითი მომსახურების (საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში) შესახებ, **დანართი N6-ის** შესაბამისად.

- პრეტენდენტი ვალდებულია საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშებისას გაითვალისწინოს დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები, ძირითადი საპროექტო მომსახურების 3%-ის ოდენობით.

4.1.6. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შესახებ (არსებობის შემთხვევაში) **დანართი N7-ის** შესაბამისად.

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ 01.01.2011-დან 01.01.2016-მდე პერიოდში შესრულებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების შესახებ **დანართი N2-ის** შესაბამისად. დანართში მითითებული თითოეული პოზიციის მიხედვით, ანალოგიური ტიპის ხელშეკრულებების და ამ მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა).

*შენიშვნა:*

*ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე.*

- პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, ცალკეული ცხრილის სახით, **4.1.3. პუნქტის მოთხოვნების** შესაბამისად.
- ქვეკონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ამასთან, პრეტენდენტის მიერ შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით, ქვეკონტრაქტორის წილი არ უნდა აღემატებოდეს **საერთო რაოდენობის 40%-ს.**
- ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული **მთლიანი მოცულობის 40%-ს.**
- ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“.

4.1.7. იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, და ის იყენებს სათაო კომპანიის გამოცდილებას, მან უნდა წარმოადგინოს, როგორც ადგილობრივი, ასევე სათაო ოფისის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული 4.1.2.; 4.1.3.; 4.1.4.; 4.1.5 და 4.1.6 ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და შესაბამისად შევსებული დანართები **დანართი N2-ის, დანართი N3-ის, დანართი N4-ის, დანართი N5-ის და დანართი N6-ის** სახით.

- იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში, რომელიც იყენებს საზღვარგარეთ რეგისტრირებული სათაო კომპანიის მონაცემებს (სამუშაო გამოცდილება, საშულო წლიური ბრუნვა, ძირითადი სპეციალისტები ან/და სხვა) ასეთ შემთხვევაში, პრეტენდენტს არა აქვს უფლება გამოიყენოს საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით ქვეკონტრაქტორი კომპანია.

## 4.2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

4.2.1. კონსკურსში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3%-ის ოდენობით. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, **დანართი N8-ის** მიხედვით.

4.2.2. შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საბანკო გარანტია გაცემული იმ საბანკო დაწესებულებიდან და სადაზღვევო კომპანიებიდან, რომელთაც სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებით განსაზღვრულ გარანტიებთან დაკავშირებით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან უფიქსირდებათ ვადაგადაცილებული ან/და შეუსრულებელი ვალდებულებები ან/და სასამართლო დავები.

4.2.3. იმ შემთხვევაში, როდესაც კონკურსში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტად დაბალი იქნება შესყიდვის სავარაუდო

ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით.

4.2.4. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

#### **4.3. დამატებითი ინფორმაცია:**

- 4.3.1. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.
- 4.3.2. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
- 4.3.3. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
- 4.3.4. კონკურსში მონაწილე კომპანიის მიერ შემოავაზებულ პერსონალს, წინამდებარე საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი შემოთავაზებაში.
- 4.3.5. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამისი კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო კომისიის აპარატში. ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის ქ. N12, მე-4 სართული. საკონტაქტო პირები:

**შალვა ჯულაყიძე**

**ტელ: +995 32 37 05 08 (284)**

**ლევან როსტომაშვილი**

**ტელ: +995 32 37 05 08 (292)**

## 5. საკონკურსო წინადადების შეფასება

5.1. საკონკურსო წინადადების ხარისხის ჯამური შეფასებისა და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონები:

N	შეფასების კრიტერიუმი	პროცენტი
1	ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა	80%
2	საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა	20%

5.2. საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისთვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

N	შეფასების კრიტერიუმი	კოეფიციენტი	შეფასების მეთოდოლოგია	შენიშვნა
1	<b>პროექტის ხელმძღვანელის პოზიციაზე პერსონალის გამოცდილება ანალოგიური ტიპის სამუშაოებში</b> (ძირითადი საინჟინრო პერსონალი, რომელიც დაკავებული იქნება ამ კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, და რომელიც მიიღებს ძირითად ტექნიკურ გადაწყვეტილებას)	0.5	<ul style="list-style-type: none"> <li>4.1.3. პუნქტში მოცემული ცხილის 1-ლ და მე-2 პოზიციაზე მითითებულ პერსონალის მიერ (საავტომობილო გზების ინჟინერი) 01.01.2011-დან 01.01.2016-მდე პერიოდში შემუშავებული, საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული ანალოგიური ტიპის პროექტების რაოდენობა, რომელთა შემუშავებაშიც მონაწილეობა მიღებული აქვთ პროექტის ხელმძღვანელის პოზიციაზე.</li> </ul>	თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ მაღალ რიცხობრივ მაჩვენებელს
2	<b>პერსონალის გამოცდილება ანალოგიური ტიპის სამუშაოებში</b> (ძირითადი საინჟინრო პერსონალი, რომელიც დაკავებული იქნება ამ კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, და რომელიც მიიღებს ძირითად ტექნიკურ გადაწყვეტილებას)	0.3	<ul style="list-style-type: none"> <li>4.1.3. პუნქტში მოცემული ცხილის მე-1 და მე-2 პოზიციაზე მითითებულ პერსონალის მიერ (საავტომობილო გზების ინჟინერი) 01.01.2011-დან 01.01.2016-მდე პერიოდში შემუშავებული, საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული ანალოგიური ტიპის პროექტების რაოდენობა, რომელთა შემუშავებაშიც მონაწილეობა მიღებული აქვთ ჰიდროტექნიკოსის პოზიციაზე, გარდა პროექტის ხელმძღვანელის პოზიციისა.</li> </ul>	თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ მაღალ რიცხობრივ მაჩვენებელს
3	<b>პრეტენდენტის (კომპანია)<sup>1</sup> მიერ შესრულებული ანალოგიური ტიპის გამოცდილება</b>	0.2	<ul style="list-style-type: none"> <li>პრეტენდენტის (კომპანიის) მიერ 01.01.2011-დან 01.01.2016-მდე პერიოდში შემუშავებული, საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული ანალოგიური ტიპის პროექტების რაოდენობა.</li> </ul>	თვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ მაღალ რიცხობრივ მაჩვენებელს

### შენიშვნა:

- კონკურსში მონაწილე კომპანიის მიერ შემოთავაზებულ პერსონალს, წინამდებარე საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრის მიზნით, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მხოლოდ ერთი პრეტენდენტის მიერ წარდგენილ შემოთავაზებაში.

<sup>1</sup> კომპანია - კონკურსში მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი.



## 6. ტექნიკური პირობები

### 6.1. გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი:

- 6.1.1. საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოებისათვის (შემდეგში „პერიოდული“) საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.
- 6.1.2. აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზების პერიოდულ შეკეთებას მასზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების (კედელი, მილი, ხიდი, გზაგამტარი და სხვა) ჩათვლით.

### 6.2. მომსახურების ძირითადი სახეობები:

- საველე - საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოები: საპროექტო დოკუმენტაცია, ან დეფექტური უწყისი;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენა;

### 6.3. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსახურება:

- საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება;
- ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
- ტომებად, წიგნებად დამატებითი ეგზემპლიარების აკინძვა;
- პროექტის კორექტირება;
- ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა;
- თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით;
- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
- სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. #242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა.
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის #42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად)
- წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა).

2016 წლის განმავლობაში (ხელშეკრულების მოქმედების ვადაში) „პერიოდული“-ს სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, რაზედაც უნდა შემუშავდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შეადგენს 30,0 მლ. ლარს დღგ-ს ჩათვლით.

### 6.4. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

- მომსახურების გაწევის ვადა შეადგენს ხელშეკრულების გაფორმებიდან – 31.12.2016 ჩათვლით.
- ყოველ ცალკეულ ობიექტზე „პერიოდული“-ს სამუშაოებისათვის შესადგენად საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების ვადები განისაზღვრება ტექნიკური დავალებით, რომელსაც გასცემს დეპარტამენტის საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველო;
- საჭირო შემთხვევაში თითოეული პროექტის შესრულების ვადების კორექტირება დაიშვება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე;
- იმ შემთხვევაში, თუ ცალკეულ ობიექტებზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების დასრულების ვადები სცილდება ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებს, მიმწოდებელი აგრძელებს გასაწევ მომსახურებას ასეთ ობიექტზე სამუშაოების მთლიანად დასრულებამდე
- მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე შესაბამისი დანართის გაფორმებით;
- საჭირო შემთხვევაში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები შესყიდვის საწყის გეგმაში. წლიური დაფინანსების მოცულობის შემცირების ან სხვა მიზეზების გამო შეამციროს მომსახურების მოცულობა და მიმწოდებელს არ უნდა ჰქონდეს პრეტენზია ტენდერით განსაზღვრული მოცულობის შეუსრულებლობის გამო;
- ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის პირობები მოცემულია ხელშეკრულების პირობებში;

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

## 6.5. ტექნიკური დავალება

- 6.5.1. ტექნიკური დოკუმენტაციის ნახაზები, ტექსტობრივი ნაწილი სხვა დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე.
- 6.5.2. ტექნიკურ ნაწილში იხილება ზოგადი პირობები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს მიმწოდებელმა, რომ დაამუშაოს მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და შემსყიდველისათვის მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

## 6.6. დავალების შემადგენლობა

- 6.6.1. ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევაძიებო სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:
  - ყოველი კონკრეტული „პერიოდული“-სათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს „საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი“-ს
  - შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის #172 დადგენილებით), ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობებით და ასევე, ხელშეკრულების პირობებით;

*\* აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები.*

- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;

*\* პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;*

## 6.7. სამუშაო ადგილის მომზადება

- 6.7.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მისი სამუშაოებისათვის საჭირო ყველა საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის, ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ხელსაწყოებზე და ტექნიკაზე.

## 6.8. მოძრაობის ორგანიზაცია

- 6.8.1. შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტები უნდა შესრულდეს მოძრაობის ორგანიზაციისა და საგზაო სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და ინსტრუქციის გათვალისწინებით.
- 6.8.2. საჭირო შემთხვევებში დასაშვებია გზების მონაკვეთების ასაქცევი დროებითი გზების მოწყობა.

## 6.9. დავალების შესრულების წესი

- 6.9.1. დავალების შესრულების წესი განისაზღვრება მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციებით, ხელშეკრულების საერთო და სპეციფიკური პირობებით, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით.

## 6.10. ტექნიკური რეგლამენტები და ნორმატიული დოკუმენტები

- 6.10.1. რეკომენდირებულია და კონსულტანტი ვალდებულია „პერიოდული“-ს პროექტების განხორციელებისას იხელმძღვანელოს და გამოიყენოს:
  - საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები;
  - სატენდერო დოკუმენტაციები უნდა შედგეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მოთხოვნების დაცვით;

*შენიშვნა: საპროექტო ნორმებსა და რეგლამენტებში რაიმე განსხვავებული დაშვებების აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციფიკური ნორმის დაშვებისა, ან მისი შეზღუდვის საკითხი წინასწარ უნდა იქნას დამკვეთთან შეთანხმებული.*

## 6.11. კუთვნილება

- 6.11.1. ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და წარმოადგენს მის საკუთრებას.
- 6.11.2. მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.
- 6.11.3. ხელშეკრულების პირობებით მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის სრული მოცულობის ელექტრონული (pdf, dwg) ვერსია.

## 6.12. საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის რაოდენობა

- 6.12.1. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაცია. გადასაცემი საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით:
- 6.12.2. საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის ეგზემპლიარების რაოდენობა:
  - ა. საპროექტო დოკუმენტაცია - 3 ეგზემპლიარი;
  - ბ. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია - 2 ეგზემპლიარი;
  - გ. სატენდერო დოკუმენტაცია - 4 ეგზემპლიარი;
  - დ. ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობისათვის საჭირო დოკუმენტაცია - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ე. საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიებიდან ფართობების ამორიცხვისათვის საჭირო დოკუმენტაცია - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ვ. ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო მოქმედების პაკეტი - საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
  - ზ. საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ელექტრო (pdf, dwg ფაილები) ვერსია - 2 ეგზემპლიარი;
  - თ. სატენდერო დოკუმენტაციის სრული ელექტრო (pdf, dwg ფაილები) ვერსია - 2 ეგზემპლიარი.

## 6.13. „პერიოდული“-ს სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების ტექნიკური სპეციფიკაციები

- 6.13.1. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2016 წლების საავტომობილო გზების „პერიოდული“-ით გათვალისწინებული სამუშაოები და სავარაუდო ღირებულებები განისაზღვრება საპროექტო მონაკვეთზე მიმწოდებლის მიერ შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით.

## 6.14. „პერიოდული“ ითვალისწინებს:

- 6.14.1. საფარის სისწორის, ხორკლიანობისა და საცვეთი ფენის აღდგენას; მიწის ვაკისის ელემენტების, წყალამრიდი და წყალგამტარი ნაგებობების, მოძრაობის რეჟიმის რეგულირების ტექნიკური საშუალებების და გზის კეთილმოწყობის დაზიანებების პერიოდულ შეკეთებას ან აღდგენას და მათი თანმდევნი სამუშაოების შესრულებას. სამუშაოების შესრულება ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციით ან დეფექტური უწყისით განსაზღვრული მოცულობებისა და ღირებულებების მიხედვით. პერიოდული შეკეთების შედეგად მთლიანად უნდა აღსდგეს გზის სატრანსპორტო საგზაო პირობები.

## 6.15.1. მიწის ვაკისზე ხორციელდება:

- ა. ყრილების და ჭრილების ფერდობებზე დაზიანებების გასწორება და ქანობების აღდგენა, ბალახის დათესვა;
- ბ. ჩამონაშალების, მეწყრებისა და ღვარცოფების გამონატანების გაწმენდა;
- ბ. გვერდულების დაპროფილება, მოშანდაკება და გამაგრება;
- გ. ტალღებისა და ნაბურცების ლიკვიდაცია;
- დ. ღორღოვან და ხრემოვან საფარის გზებზე მიწის ვაკისის გეომეტრიული პარამეტრებისა და ფერდობების (ყრილები და ჭრილები) აღდგენა;

*შენიშვნა: პერიოდულის მონაკვეთზე მოქმედი რთული მეწყრის შესწავლა და მისი საპროექტო გადაწყვეტილება უნდა გამოეყოს პროექტს და მასზე გაიცეს ცალკე ტექნიკური დავალება.*

## 6.16. გზის სამოსზე ხორციელდება:

- ა. ფრაგმენტულად დაზიანებული საფარის აღდგენა, ორმოების, ტალღების, ბზარების, ნაბურცების ლიკვიდაცია დეფორმირებული საფარის ამოჭრა, ასფალტბეტონის მასის ჩაგება და დატკეპნა. საჭიროების

შემთხვევაში საფუძვლისა და საფარის ფენის მოწყობა (პერიოდულ შეკეთებას დაქვემდებარებული ფართის არა უმეტეს 25%-ისა, რომელზედაც ვრცელდება რეაბილიტაციის მოთხოვნები);

ბ. შავსაფარიანი სავალი ნაწილის ხორკლიანობის აღდგენა, მონაკვეთის მთელ ფართობზე პერიოდულ შეკეთებას დაქვემდებარებული გზის ერთი კონსტრუქციული ზედა ფენის გადაკვრა ასფალტბეტონით ან სხვა ტექნოლოგიების გამოყენებით (სხმული ასფალტბეტონით, ღორღოვან-მასტიკური მასით, ორმაგი ზედაპირული დამუშავებით და სხვა);

გ. ღორღოვანი და ხრემოვანი საფარების პროფილის აღდგენა ინერტული მასალების დამატებით;

დ. ცალკეულ მონაკვეთებზე ქვაფენილის ხელახალი გადაგება საფუძვლის შეცვლით;

ე. გრუნტის გზების სავალი ნაწილის პროფილის აღდგენა და გაუმჯობესება;

#### **6.17. ხელოვნურ და დამცავ დაგებობებზე ხორციელდება:**

ა. ყველა ხელოვნურ ნაგებობებზე დაზიანებული ნაწილების შეკეთება, ცალკეული, არამზიდი კონსტრუქციული ელემენტების შეცვლით;

ბ. მოაჯირებისა და თვალამრიდების შეკეთება და შეღებვა, სავალი ნაწილისა და ტროტუარების გაწმენდა მიწისა და მცენარეული საფარისაგან და დახაზვა, საყრდენი ნაწილების გაწმენდა და შეღებვა და სხვა. ლითონის ხიდების ცალკეული ელემენტების შეღებვა და ანტისეპტირება;

გ. გალერეების, გვირაბების და ფარდულების მცირე დაზიანებების ლიკვიდაცია, წყალაცილების სისტემების გაწმენდა და მცირედი დაზიანებების ლიკვიდაცია სისტემის სრულყოფილად აღდგენისათვის;

დ. წყალამრიდი ნაგებობების (კიუვეტები, სადრენაჟე სისტემები და სხვა) გაწმენდა მიწისა და მცენარეული საფარისაგან და დაზიანებათა სრული აღდგენა ცალკეული ელემენტების შეცვლით;

ე. წყალგამტარი მილების სათავისებისა და რგოლების დაზიანებათა ლიკვიდაცია, დანალექი გრუნტებისაგან ხვრეტის გაწმენდა და სრული აღდგენა;

ვ. საყრდენი კედლების და ნაპირსამაგრი ნაგებობების დაზიანებათა (მდგრადობის დარღვევის გარეშე) აღმოფხვრა;

#### **6.18. მოძრაობის რეჟიმის უსაფრთხოების ტექნიკურ საშუალებებზე და გზის კეთილმოწყობაზე ხორციელდება:**

ა. დაზიანებული ზღუდარების შეკეთება, აღდგენა, ცალკეულ კონსტრუქციული ელემენტების შეცვლით ან განახლება; არსებული დაზიანებული საგზაო ნიშნებისა და მიმმართველი მოწყობილობების აღდგენა და საჭიროების შემთხვევაში ახლის დაყენება.

ბ. ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონიშვნის აღდგენა ან ახალი პროექტით შესრულება.

დ. ტროტუარებისა და საცალფეხო ბილიკების, ავტომანქანების გასაჩერებელი, დასასვენებელი და ღირშესანიშნავი ადგილების აღდგენა და კეთილმოწყობა.

#### **6.19. საველე საკვლევადიებო სამუშაოებზე ჩასატარებელი საორიენტაციო სამუშაოები**

6.19.1. „პერიოდული“-ს კონკრეტული ობიექტის ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მიმწოდებლის მიერ განისაზღვრება საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები ამ თავში მოცემული სამუშაოების სახეობებიდან:

##### **1. საინჟინრო-ტოპოგეოდეზიური სამუშაოები**

საინჟინრო-ტოპოგეოდეზიური სამუშაოების ჩატარების დროს უნდა შესრულდეს სამუშაოთა კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ტოპოგეოდეზიური მასალებისა და მონაცემების მიღებას იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია სამუშაო ნახაზების დასამუშავებლად პროექტის ყველა ნაწილისათვის, ცალკეული ტიპობრივი ნაგებობების მისაბმელად ადგილზე და ობიექტის შემადგენელი ნაწილების ლოკალური ხარჯთაღრიცხვების შესადგენად. მათ შორის:

ა). კვლევა-ძიების საველე ეტაპი უნდა მოიცავდეს:

- არსებული გზის სარეაბილიტაციო მონაკვეთის პიკეტაჟის ჩატარების პროცესში ტრასის სიტუაციური გეგმის შედგენას, ტრასის დამაგრებას და ხელოვნური ნაგებობების ღერძების მიზმას მასთან;
- პიკეტაჟის პროცესში პლუსების დაფიქსირებას რელიეფის განივი და გრძივი ცვლილებების ადგილებში, ჰორიზონტალური მრუდების მახასიათებელ ადგილებში (ტანგენსები, ბისექტრისები). მთაგორიან რელიეფზე პიკეტაჟი დაახლოებით 4 - 7 წერტილით, ხოლო ვაკე რელიეფზე 3 - 5 წერტილით;
- მუდმივი რეპერების მოწყობა ტრასის მისაბმელად პროფილში, ხელოვნურ ნაგებობებთან, დიდ ხიდებთან მდინარის ორივე მხარეს, დიდ ჭრილებთან/ყრილებთან კი ჭრილის/ყრილის დასაწყისთან ორივე მხარეს;

- რელიეფის ტოპოგრაფიული გადაღებები დამუშავებული უნდა იყოს აბსოლუტურ UTM კოორდინატთა სისტემაში, რომელიც საჭირო იქნება დაპროექტებისათვის;
- საჭიროების შემთხვევაში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად განისაზღვროს არსებული კომუნიკაციების (საჰაერო ხაზების, ელექტროგადაცემის ხაზების, კაბელების, წყალსადენის, საკანალიზაციო ქსელის და სხვა) საპროექტო ტრასასთან გადაკვეთა და შესაბამისი ადგილები და შეთანხმდეს მათთან გადაკვეთის/გადატანის პირობები;

ბ). კამერალური სამუშაოები უნდა მოიცავდეს:

- ადგილზე (ველზე) ჩატარებული ტოპო-გეოდეზიური და აზომვითი სამუშაოების შედეგების გაანალიზებას, საჭირო გაანგარიშებების ჩატარებასა და გრაფიკული და ტექსტური მასალების დამუშავებას ოფისის პირობებში, ასევე საჭირო შეთანხმებების დოკუმენტების უზრუნველყოფას.

**შენიშვნა:** შეთანხმების დოკუმენტები უნდა იყოს გაფორმებული ტექსტური და გრაფიკული სახით (აქტები, ოქმები, ცნობები, წერილები, დასკვნები, გადაწყვეტილებები, წარწერები გეგმებზე, სქემებზე და ა.შ.) ამ დოკუმენტებში უნდა იყოს ჩამოყალიბებული შეთანხმების საგნები, შემთანხმებელი ორგანიზაციის მოთხოვნები, ნაგებობის განლაგება, ტექნიკური პირობები ცვლილებაზე და ა.შ., ასევე შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, შეთანხმების თარიღი, შემთანხმებელი პირის თანამდებობა და გვარი, ორგანიზაციის ბეჭდით დამოწმებული.

გ). გრაფიკული მოთხოვნები კამერალური სამუშაოების შესრულების დროს

- ტრასის გასწორხაზებული გეგმა გამოიხაზოს მასშტაბით 1:1000; 1:500;
- გზის ტრასის სიტუაციური, ან ტოპოგეგმა გამოიხაზოს სირთულის პირობების მიხედვით: რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000; გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000;
- გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 \_ 1 : 200, ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000 - 1 : 100;
- განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 100 სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;
- ტოპოგრაფიული გეგმები გამოიხაზოს ნორმალურ პირობებში მასშტაბში 1 : 1000 რთული რელიეფის და ქალაქის პირობებში მასშტაბში 1 : 500;
- სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას არსებული პირობითი ნიშნების შესაბამისად;
- ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების ნახაზები უნდა შესრულდეს 1:200, 1:100, 1:50, 1:20, 1:10 და 1:5 მასშტაბებში;
- ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

## 2. არსებული ნაგებობებზე საკვლევადიებო სამუშაოები:

- არსებული წყალგამტარი მილების აზომვები ძირითადი ზომებისა და ჭრილების ჩვენებით, ვიზუალურად დადგინდეს მათი მდგომარეობა და ვარგისიანობა მომავალში შესაძლო გამოყენების მიზნით.
- ანალოგიური სამუშაოები უნდა ჩატარდეს სხვა ხელოვნური და სპეციალური საინჟინრო ნაგებობების შესასწავლად (ხიდები, გვირაბები, გალერეები, ესტაკადები, ვიადუკები, აკვედუკები, ზედა და ქვედა საყრდენი კედლები და სხვა ნაგებობები);
- დადგინდეს მათი კონსტრუქციების დაზიანებები, ხიდების კონუსებთან შეუღლების მდგომარეობა, შესრულდეს აზომვითი ნახაზები დაზიანებულ კონსტრუქციულ ელემენტებზე;

საჭიროების შემთხვევაში:

- აზომილი უნდა იქნას არსებული წყალსადენებისა და სხვა კომუნიკაციების მდებარეობა საპროექტო ტრასასთან და მათი დამაგრების კონსტრუქციები ხიდებზე (გზაგამტარებზე და სხვა);
- მიზმილი იქნას საპროექტო ტრასასთან არსებული საჰაერო კავშირგაბმულობის ხაზები, ელექტრო და კავშირგაბმულობის საკაბელო ხაზები, მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები, დადგინდეს ჩამოთვლილი კომუნიკაციების ტიპები, მასალები, ელექტრო და კავშირგაბმულობის ბოძების ნომრების მიხედვით დადგინდეს მავთულების ჩამოკიდების სიმაღლე უსაფრთხოების ნორმების დადგენისათვის.



### 3. ეკოლოგია და ბუნების დაცვა

- საქართველოს კანონის “გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ” შესაბამისად გათვალისწინებულ იქნას ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საქმიანობა არ საჭიროებს გ.ზ.შ-ს, მოამზადოს გარემოსდაცვის მენეჯმენტის გეგმა და საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებული იქნას გრუნტისა და ინერტული მასალის დასაწყობების ადგილი. აგრეთვე გათვალისწინებულ იქნას პროექტის ფარგლებში ხემცენარეებით დაკავებული ტერიტორიის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება, მისი ამორიცხვის ან მოჭრის ნებართვის მისაღებად.

*შენიშვნა: „პერიოდული“-ს სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენისას მიმწოდებელი იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული განზოგადებული ტექნიკური დავალებით და ცალკეულ ობიექტებზე გაცემული შესაბამისი კონკრეტული ტექნიკური დავალებებით განსაზღვრული მოთხოვნებით. ამასთან, ყოველი კონკრეტული ობიექტის პროექტზე, ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.*

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

კონკურსი CNT \_\_\_\_\_

(პროექტი)

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ერთის მხრივ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი  
წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის - მაია ქალიაშვილის სახით,  
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზგების გამზ. N12,  
საიდენტიფიკაციო კოდი: 211343982  
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222  
ანგარიშის N200122900;  
(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

-----  
წარმოდგენილი ----- სახით  
მის: -----  
საიდენტიფიკაციო კოდი: -----  
საბანკო რეკვიზიტები: -----  
ბანკის კოდი: -----  
IBAN: -----  
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

*წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის (ე) ქვეპუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების“ მე-15 მუხლი.*

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველ“ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ ორგანიზაციამ „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს:

- ----- მომსახურების შესყიდვა
- CPV კოდი: 713 20000 - საინჟინრო-საპროექტო მომსახურება.

2.2 ხელშეკრულების ფარგლებში გასაწევი მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

**3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს ----- (-----) ლარს.
- 3.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
- 3.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.
- 3.4 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 25 დღის განმავლობაში.
- 3.5 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დასრულებული საპროექტო დოკუმენტაცია, საჭიროებს საექსპერტო დასკვნას, შემსყიდველი, დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტის საფუძველზე უნაზღაურებს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულების 70%-ს, ხოლო დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ - დარჩენილ - 30%-ს.
- 3.6 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.
- 3.7 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე.
- 3.8 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.
- 3.9 აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.
- 3.10 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.
- 3.11 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.
- 3.12 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **არაუმეტეს 20%-ის ოდენობით**. მრავალწლიანი კონკურსის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.
- 3.13 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A * (X\% - Y\%)}{70 - 20}$$

**სადაც:**  
**Z** - გამოსაკვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;  
**A** - წარმოდგენს გადარიცხული ავანსის თანხას;  
**X** - წარმოდგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.  
**Y** - არის (X) წინა პერიოდისათვის.

- 3.14 შემსყიდველი უფლებამოსილია ამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 3.13 პუნქტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.
- 3.15 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.
- 3.16 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელი მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.
- 3.17 წარმოდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ, ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების ღირებულების 10% რომელიც მიმწოდებელს დაუბრუნდება ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მიღება-ჩაბარებიდან **2 (ორი) წლის შემდგომ (საგარანტიო პერიოდი)**, გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ ვადაში შემსყიდველი განახორციელებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებას.
- 3.18 საგარანტიო პერიოდში (2 (ორი) წლის განმავლობაში) წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება მოხდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, ყოველ კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების დაკავებული ღირებულების პროპორციულად.
- 3.19 თუ საგარანტიო პერიოდში სამუშაოების განხორციელების პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტი ან ხარვეზი მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი. თუკი მიმწოდებელი არ აღმოფხვრის აღნიშნულ ხარვეზს შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს ხარისხის უზრუნველსაყოფად დაკავებული თანხა კონკრეტულ ობიექტზე გაწეული საპროექტო მომსახურების დაკავებული ღირებულების პროპორციულად.
- 3.20 თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტის ან ხარვეზის არსებობამ გადააჭარბა სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებას (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სამსახურის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ) მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების ფარგლებში დაკავებული თანხა (10%-ის ოდენობით) სრულად.

#### **4. მომსახურების შესაბამისობა**

- 4.1 ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიხედვით განმარტებულია მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

#### **5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

- 5.1 მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების (მაგრამ მიმწოდებლისაგან დასრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 28 დღისა) შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზედაც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.
- 5.2 შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
- 5.3 საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმდინარე სამუშაოების განხორციელების პერიოდში, შემოწმების ან/და ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ურთიერთშეთანხმებულ ვადებში.

- 5.4 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.
- 5.5 გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.
- 5.6 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევა.

**მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

- 5.7 მიმწოდებელი ვალდებულია:
  - 5.7.1 მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;
  - 5.7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან -----;
  - 5.7.3 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად;
  - 5.7.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;
  - 5.7.5 საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყონებლივ აღმოფხვრა;
  - 5.7.6 საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.
  - 5.7.7 ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;
  - 5.7.8 შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.
  - 5.7.9 იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარმოადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით.
  - 5.7.10 საპროექტო დოკუმენტაცია წარმოადგინოს მისი და ძირითადი სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი.
  - 5.7.11 საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ.
- 5.8 შემსყიდველი ვალდებულია:
  - 5.8.1 აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე, თანახმად ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;
  - 5.8.2 შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
- 5.9 ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 5.10 შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.
- 5.11 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ვადებში



ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

- 5.12 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების გაწევის თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასწრებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი შემსყიდველთან შეთანხმებით, გააგრძელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების გაწევის ახალი ვადების გათვალისწინებით.

## **6. ფორს-მაჟორი**

- 6.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
- 6.2 მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენის/ების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

## **7. პასუხისმგებლობა**

- 7.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მათ შორის საგარანტიო პერიოდში, (საპროექტოს მომსახურებისათვის განსაზღვრული ვადის დარღვევა, არასრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა, სუბკონტრაქტორის აყვანის პირობების დარღვევა და სხვა) მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს სახით ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების ან ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების (თუ ანაზღაურებადია) ღირებულების **3% (სამი პროცენტი), მაგრამ არანაკლებ 1 000.00 (ათასი) ლარისა.**
- 7.2 წინამდებარე მუხლის 7.1 პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ერთი თვის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაკვითვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 7.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5% (ხუთი პროცენტი)**, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## **8. ხელშეკრულების შეწყვეტა**

- 8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
- 8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
- 8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
- 8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადადე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
- 8.4.1 მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
- 8.4.2 თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტის ან ხარვეზის არსებობამ გამოიწვია

საგზაო სამუშაოების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა (დადგენილი შემსყიდველის შესაბამისი სამსახურის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ.

- 8.4.3 მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
- 8.4.4 მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;
- 8.4.5 მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;
- 8.4.6 ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

**9. სამართალმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა**

- 9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა, როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისათვის.
- 9.2 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 9.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

**10. ქვეკონტრაქტორები**

- 10.1 მომსახურების გაწევის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.
- 10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;
- 10.3 ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.
- 10.4 მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებული არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.
- 10.5 მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს დამატებით აიყვანოს სპეციალისტი (ები), მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით.

**11. შეტყობინება**

- 11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
- 11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

**12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

- 12.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების და მისი დანართების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალუა შემსყიდველი ორგანიზაციის - საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ამავე დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამმართველოს.
- 12.2 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.
- 12.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 12.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

**13. სხვა პირობები**

- 13.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 13.2 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

- 13.3 იმ შემთხვევაში, ვთუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.
- 13.4 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 13.5 მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები (პროცენტი) წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრებს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- 13.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
- 13.7 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 13.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 13.9 მიმწოდებლის სააკონკურსო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, სპეციფიკაციები) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

14.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს -----მდე, გარდა ხელშეკრულებაში განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე (საგარანტიო პერიოდის სრულ დასრულებამდე).

**15. მხარეთა ხელმოწერები:**

**შემსყიდველი:**

**მიმწოდებელი:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

## პრეტენდენტის შეთავაზება

1.	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
	ხელმძღვანელის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
	საიდენტიფიკაციო კოდი:	
	პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
	ელექტრონული მისამართი:	
	ბანკი:	
	ბანკის კოდი:	
	ანგარიშის ნომერი:	
2.	კომპანიის რეგისტრაციის (დაარსების) თარიღი:	
3.	მოკლე ინფორმაცია კომპანიის შესახებ:	

ვადასტურებ, რომ გავეცანი წინააღმდეგარე საკონკურსო დოკუმენტაციას (ტექნიკური პირობები, ტექნიკური დავალება და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი) და ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში, თანახმა ვარ შევასრულოთ აღებული ვალდებულებები საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული პირობების შესაბამისად.

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

\_\_\_\_\_

ბ.ა.

ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის 01.01.2011-დან 01.01.2016-მდე პერიოდში არსებული ანალოგიური ტიპის საპროექტო გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: \_\_\_\_\_

N	პროექტის დასახელება	დამკვეთის დასახელება	დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	შესრულების პერიოდი	პროექტის მოკლე აღწერა	შენიშვნა
1						
2						
3						
.						
.						
.						
n						

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.



ინფორმაცია ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: \_\_\_\_\_

N	სახელი და გვარი	პირადი ნომერი	პროექტის ფარგლებში დაკავებული პოზიცია	ანალოგიურ პროექტებზე მუშაობის გამოცდილება (წელი)	დამატებითი ინფორმაცია
1					
2					
3					
...					
n					

შენიშვნა: მითითებული უნდა იქნას, წარმოდგენილი პერსონალიდან რომელი შესარულებს საპროექტო გუნდის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს.

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_  
 ბ.ა.

## საინფორმაციო ანკეტა

<b>1. პირადი მონაცემები</b>	
სპეციალისტის სახელი და გვარი	
პირადი N:	
საკონაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ. ფოსტა):	
პროექტში დასაკავებელი თანამდებობა:	
დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):	
მოქალაქეობა:	
<b>2. განათლება</b>	
უმაღლესი განათლება (უმაღლესი სასწავლებელი, სწავლის დაწყებისა და დამთავრების წლები, ფაკულტეტი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით)	
მიღებული სერტიფიკატები (დასახელება, თარიღი)	
ტრენინგები (დასახელება, დაწყებისა და დამთავრების წლები)	
სამეცნიერო ნაშრომები (დასახელება, გამოცემის წელი)	
სხვა (გაერთიანების, ასოციაციების, და ანალოგიურის წევრობა)	
<b>3. საერთო პროფესიული გამოცდილება</b> (ივსება მხოლოდ ტექნიკური დავალების 4.1.3 პუნქტით განსაზღვრული N3, N4, N5, N6 და N7 პოზიციებზე წარმოდგენილი სპეციალისტებისათვის)	
მუშაობის წლები:	1
ორგანიზაციის ან კომპანიის დასახელება:	2
საკონაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ. ფოსტა):	3 და ა.შ.
დაკავებული თანამდებობა:	
ძირითადი ფუნქციები:	
<b>4. ანალოგიური სამუშაოების საპროექტო მომსახურებაში არსებული გამოცდილება</b> (ივსება მხოლოდ ტექნიკური დავალების 4.1.3 პუნქტით განსაზღვრული N1 და N2 პოზიციებზე წარმოდგენილი სპეციალისტებისათვის)	
პროექტის დასახელება:	1
პროექტის ღირებულება:	2
განხორციელების ვადები:	3 და ა.შ.
განმახორციელებელი კომპანია:	
კომპანიის საკონაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და ელ.ფოსტა):	
დაკავებული თანამდებობა (მაგ: პროექტის ხელმძღვანელი ან პროექტის ინჟინერი):	
პროექტის მოკლე აღწერა:	

სპეციალისტის ხელმოწერა

\_\_\_\_\_

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

\_\_\_\_\_

ბ.ა.

## წინარე შეთანხმება

(პროექტი)

ერთხის მხრივ, კონკურსში მონაწილე პირი: -----  
კომპანიის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი

(შემდგომში „კომპანია“) წარმოდგენილი: -----  
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

იღებს ვალდებულებას და მეორეს მხრივ, საკონკურსო პირობების შესაბამისად, კომპანიის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: -----  
სპეციალისტის სახელი და გვარი/პირადი ნომერი, სპეციალობა

(შემდგომში „სპეციალისტი“) თანხმდება, რომ კონკურსში -----  
კონკურსის სახელი და უნიკალური ნომერი

„კომპანიის“ გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული კომპანიაში და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს კონკურსთ გათავლისწინებულ მომსახურებას. (დადასტურება უნდა განხორციელდეს საპროექტო დოკუმენტაციის შტამბში შესაბამისი ინფორმაციის დატანითა და ხელმოწერით).

სპეციალისტის ხელმოწერა \_\_\_\_\_

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_  
ბ.ა.

## ინფორმაცია დამატებითი მომსახურების შესახებ

(საჭიროების შემთხვევაში, სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში)  
 „პერიოდული შეკეთების სამუშაოები“

დამატებითი მომსახურების დასახელება	განზომილება	ერთეული	რაოდენობა
საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება			
ხარჯთაღრიცხვების გადანაგარიშება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
პროექტის კორექტირება	სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
თარგმანი ქართულიდან ინგლისურად და პირიქით	გვერდი	ლარი	
ცალკეულ ობიექტებზე საავტორო ზედამხედველობა	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შემუშავება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	

### შენიშვნა:

შემსყიდველი იტოვებს უფლებას, შერჩევა-შეფასების ეტაპზე განიხილოს წინამდებარე ცხრილით წარმოდგენილი ფასების ადეკვატურობა. პრეტენდენტის მხრიდან აღნიშნულის შესახებ შეუთანხმებლობა განხილული იქნება როგორც წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შეუსაბამობა საკონკურსო პირობებთან, რაც გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესი და პირობების“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ბ.ა.

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ მიმდინარე სამუშაოების ფარგლებში გამოყენებული ქვეკონტრაქტორების შესახებ

პრეტენდენტის დასახელება: \_\_\_\_\_

N	ქვეკონტრაქტორის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	ქვეკონტრაქტორის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი, ელ.ფოსტა)	ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება	ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი სამუშაოების წილი %-ში
1					
2					
3					
.					
.					
.					
n					
<b>ჯამი</b>					

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_  
ბ.ა.

ქვეკონტრაქტორი კომპანიის ხელმძღვანელის ხელმოწერა \_\_\_\_\_  
ბ.ა.



## ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(უპირობო საბანკო გარანტია)

ვის:

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ \_\_\_\_\_ (შემდგომში - „მიმწოდებელი“)

(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

(კონკურსის დასახელება)

კონკურსში წარდგენილი თავისი საკონკურსო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია.

ამასთან, დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (**არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა**), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია \_\_\_\_\_

გარანტების ხელმოწერა და ბეჭედი \_\_\_\_\_

(თარიღი)

(მოსამართი)